

საგრანტო კონკურსის თემატიკა:

ამომრჩეველთა ინფორმირება 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის

პროექტის დასახელება:

აქტიური ამომრჩეველი

სამოქალაქო აღიარებული განვითარებისთვის

პროექტის განხორციელების პერიოდი:
25 სექტემბერი - 25 ოქტომბერი, 2020 წელი

პროექტის მიზნები და ამოცანები:

- ▶ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა, ამომრჩევლების გააქტიურების ხელშეწყობა, ინფორმაციის მიწოდება საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესსა და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის, უსაფრთხო პროცედურების საკითხებსა თუ საარჩევნო უფლებებსა და მათი რეალიზების პროცედურებთან (მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპთან) დაკავშირებით.
- ▶ პროექტის ამოცანა გახლდათ ამომრჩეველთა ინფორმირებულობის დონისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლების კუთხით მოსახლეობასთან შეხვედრების ჩატარება, ბენეფიციარებისთვის საგანმანათლებლო/საინფორმაციო პროგრამის მიწოდება, შესაბამისი საინფორმაციო/სარეკლამო მასალების შექმნა/გავრცელება, რეგიონში მოქმედი ტელემაუწყებლის საშუალებით საინფორმაციო ხასიათის სატელევიზიო გადაცემის მომზადება და ეთერში გაშვება, რეგიონში მცხოვრები საზოგადოების თვითშეგნების, საარჩევნო კულტურისა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის დონის ამაღლება, არჩევნების პოლულარიზაცია და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა,

პროექტის განხორციელების არეალი:

სამეგრელო– ზემო სვანეთის რეგიონი -წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი

სამიზნე ჯგუფი: სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრები (წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი) ამომრჩეველი

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

- ▶ შეხვედრები ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, საინფორმაციო მასალების გავრცელება



პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

შეხვედრები ხობის მუნიციპალიტეტში, საინფორმაციო მასალების გავრცელება



პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

შეხვედრები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, საინფორმაციო მასალების გავრცელება



პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმოხილვა

სატელევიზიო გადაცემის მომზადება, ტელევიზორცეში განთავსება

ბმული: <https://odishinews.ge/2020/10/15/samarthliani-archevnebi-2020/?fbclid=IwAR19DcwGXNvuTKlfI1bwzyQBy0Mq-G2wnxW-tPZZWBHmPhSc4S9R2V3O910>



პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)

- ▶ პროექტის განხორციელების შედეგად რეგიონში მცხოვრებმა ამომრჩეველმა მიიღო ინფორმაცია საკუთარი, როგორც ამომრჩევლის უფლებებზე, კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე; ბენეფიციარები გაეცნენ პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარების წესს, რის შედეგად მათ გაუჩნდათ მეტი მოტივაცია მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და გააცნობიერეს ის ფაქტი, რომ მითი ხმა გადამწყვეტია ქვეყნისა და რეგიონის შემდგომი განვითარებისთვის;
- ▶ პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად სრულად განხორციელდა ის მიზნები და ამოცანები, რომელიც იყო დასახული;
- ▶ პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით მიღებული შედეგი მეტად მნიშვნელოვანია როგორც ამომრჩეველთა ინფორმირებისათვის, ასევე საარჩევნო კულტურის დონის ამაღლებისათვის. გაიზარდა ამომრჩევლის აქტივობა, მათი ინფორმირებულობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონე.
- ▶ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება გავრცელდა სოციალური ქსელის საშუალებით <https://www.facebook.com/civilallianc>

მადლობა ყურადღებისთვის!

